პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! — ოთხშაბათი, 18 ივნისი 1924 წ. — წელიწადი მეოთხე — ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი ბათომი

№ 526 ქ. მ. ჲ. პოლიტ-განყ-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ. ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ტელ. 85
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპა ელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## მემარცხენე ბლოკი უკან იხევს.

ამას წინად ჩვენ ვსწერდით, მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე ბლოკმა, საფრანგეთის მომავალ პოლიტიკაში არავითარ ცვლილებებს ჩვენ არ უნდა მოველოდეთო.

ამ გარემოებას ვხსნიდით მით, რომ მემარცხენეები, როგორც საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველნი, მოკლებულნი არიან უნარს მტკიცედ, ენერგიულად ბოლომდის გაატარონ თავისი ხაზი და დაიცვან თავისი პოზიციები.

რაც დღე გადის, ეს მოსაზრება სავსებით მართლდება, რადგან სისუსტე, რომელსაც იჩენს მემარცხენე ბლოკი მემარჯვენეებთან ბრძოლაში, არის ამის საუკეთესო მტკიცება.

როდესაც მემარცხენეებმა მიიტანეს ენერგიული იერიში მილიერანზე, ყველას ეგონა, რომ ამ იერიშს ისინი ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანდნენ.

მაგრამ, ეს მათ ვერ ქნეს, რითაც დაამტკიცეს თავისი უვარგისობა, როგორც მტკიცე პოლიტიკის მატარებელ პარტიისა.

მართალია, მილიერანის ჩამოგდება მათ შესძლეს, მაგრამ სამაგიეროთ დამარცხდენ სასურველ კანდიდატის გაყვანაში პრეზიდენტის თანამდებობაზე. პენლევეს მაგიერ ხმის უმრავლესობით პრეზიდენტად არჩეულ იქმნა დუმერგი.

ეს მეტად საგრძნობი დამარცხება მემარცხენე ბლოკის, რადგან ფაქტიურად დუმერგი ეკუთვნის მემარჯვენეებს, ვიდრე მემარცხენეებს.

საფრანგეთის რეაქციონერებმა ისარგებლეს მემარცხენე ბლოკის უაზრობით, რაც გამოიხატა ორი კანდიდატის წამოყენებაში, და გაიყვანეს დუმერგი, რომელიც არ სურდა მემარცხენეების უმრავლესობას.

დუმერგი ვერავითარი გამჭრიახი და დიდი ჭკუის პატრონი პოლიტიკოსია. ის ერთგული ამსრულებელი მოხელეა, რომელიც საუცხოვოდ შეასრულებს მემარჯვენე პარტიების ყველა დავალებებს და ამოცანებს.

დუმერგის სახით საფრანგეთის რეაქციას კვლავ საშვალება ეძლევა დიდი გავლენა იქონიოს სახელმწიფოს შინაურ და საგარეო პოლიტიკაზე.

ასეთია შედეგები მემარცხენე ბლოკის „გმირული" ბრძოლისა.

თავისი უპრინციპობით, ორ სკამზე ჯდომით, სილაჩრობით მათ სრულიად ვერ გაამართლეს ფართე მასების ნდობა, რომელსაც მათზე ამყარებდენ საპარლამენტო არჩევნების დროს.

მემარცხენე ბლოკის მომხრენი თან და თან რწმუნდებიან მათი სისუსტეში და შორდებიან მათ. ამ გარემოებაზე ლაპარაკობს თვით მემარცხენე ბლოკის ბელადი ერიო, რომელიც ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოსავალს ხედავს შეურიგდეს დუმერგის პრეზიდენტობას და შეადგინოს მთავრობა.

მაგრამ ვერავითარი პოლიტიკური ხრიკებით ვერ დაიბრუნებენ ხალხის ნდობას.

საფრანგეთის მშრომელ მასას გაუცრუვდა იმედი მემარცხენე ბლოკის სიძლიერეში.

ის თანდათან რწმუნდება მასში, რომ რეაქციის და ბურჟუაზიის მტაცებელ კლანჭებიდან დახწევა შეიძლება მხოლოდ შეურიგებელ ბრძოლით, რომლისკენაც მას მიუთითებს კომპარტია. აქედან სრულიად გასაგებია ის გარემოება, რომ კომპარტიის რიგებში დღითი დღე მოდიან ახალი ძალები, რომლებიც დარწმუნდენ ყოველგვარ რადიკალებისა თუ ყვითელ სოციალისტების სიფლიდეში და კომპარტიის ფოლადისებურ სიმტკიცეში!

## პროტესტი პოლონეთის პანების სასამართლოს წინაალმდეგ.

### პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს მოწოდება.

წითელ პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო მოუწოდებს ყველა ქვეყნების მუშებს გამოვიდენ პროტესტით კრაკოვის აჯანყების მონაწილეთა დასჯის წინაალმდეგ.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ პოლონეთის ბურჟუაზია სცდილობს ამ პროცესით დააშინოს პოლონეთის მუშათა კლასი, რათა მან შემდეგისთვის არ გაილაშქროს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინაალმდეგ, რომელთა მსხვერპლია პოლონეთის მუშები, გლეხები და ნაციონალური უმცირესობა. კრაკოვის აჯანყება განადგურებას უქადდა პოლონეთის ბურჟუაზიულ მთავრობას, მაგრამ მეორე ინტერნაციონალის სოციალ-პატრიოტებმა იხსნეს ბურჟუაზია როდესაც კრაკოვი ხელში ჩაიგდეს მუშებმა და გლეხებმა და ჯარისკაცებმა, დაიწყეს დამეგობრება მუშათა კლასთან, მეორე და ამსტერდამის სოციალ შეთანხმებლებმა სასწრაფოთ ჩაჰკრეს პოლონეთში საერთო გაფიცვები. მათ მოატყუეს მუშათა კლასი და განუცხადეს, რომ მთავრობა მზათაა აასრულოს მუშათა მოთხოვნილებანი. კრაკოვის აჯანყებას კი ისინი საიდუმლოდ ინახავდენ. მხოლოდ გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ რამოდენიმე დღით მუშებმა გაიგეს კრაკოვის შემთხვევების შესახებ.

პოლონეთის მენშევიკების ასეთ ღალატს ვერ შეედრება ბურჟუაზიის ლაქიების წარსული მილიტარისტული პოლიტიკა.

## ინგლისის რკინის გზელთა გაფიცვები დამთავრდა.

### მუშები დამარცხდენ ყვითელი ბელადების ღალატის გამო.

ლონდონის რკინის გზელთა გაფიცვები დამთავრდა. მუშები დაუბრუნდა მუშაობას, მაგრამ ახლო მომავალში, როგორც საგაფიცვებო კომიტეტის მდივანმა ეკხერსტმა განაცხადა, კვლავ დაიწყებენ ბრძოლას.

მუშები დამარცხდა რკინის გზელთა ნაციონალურ პროფკავშირის პოლიტიკით. მეორე მიზეზი დამარცხებისა რკინის გზის საზოგადოებათა ულტიმატუმია, რომელშიაც გამოხატული იყო მუქარა მოლაპარაკების დარღვევისათვის.

გაფიცვებს მხარს უჭერდენ მხოლოდ კომუნისტები.

ამის გამო კონსერვატიულმა პრესამ დაიწყო გაცხარებული კომპანია კომუნისტების წინაალმდეგ, სადაც მოუწოდებს პროფკავშირების ბელადებს გამორიცხონ კომუნისტები კავშირებიდან და აღნიშნავს, რომ გაფიცულები დახმარებას იღებენ მოსკოვიდან ინგლისის კომპარტიის საშუალებითო.

### მუშებმა თავისი გაიტანეს.

გაფიცვების მუქარის გამო უიმვლის გამომფენის მომწყობნი დასთანხმდენ ხელფასის მომატებაზე.

## კომინტერნის მე-5-ე კონგრესის გახსნა.

გუშინ, 17 ივნისს უნდა მომხდარიყო კომინტერნის მე-5-ე კონგრესის გახსნა.

### დელეგატთა მეგობრული შეხვედრა.

15 ივნისს ლენინის მთების საერთაშორისო წითელ სტადიონზე გაიმართა მიტინგი კომინტერნის მე 5-ე კონგრესის დელეგატების შესახვედრად.

ამხ. პოდვოისკი მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, რომ ყოველი გამობრძმედილი მუშა საფრთხე უნდა იყოს მთელი ფაშიზმისათვის.

### კომინტერნის ორგანიზაციული საკითხები.

კომინტერნის საორგ. განყოფილების გამგემ ამხ. მიცკევიჩმა მოკლედ აღნიშნა ის საკითხები, რომლებიც განხილულ იქნებიან კომინტერნის მე-5-ე კონგრესზე.

### ვის შეუძლია იყოს კომინტერნის წევრი.

წესდებაში შეტანილია ახალი მუხლები იმის შესახებ, რომ კომპარტიის წევრად შეუძლია გახდეს ყველას, ვინც კი გაიზიარებს კომპარტიის და კომინტერნის პროგრამასა და წესდებას სათანადო ქვეყნებში. შეტანილია აგრეთვე მუხლები იმის შესახებ, რომ პარტიული საკითხების გერშემო დისკუსიები შეიძლება აწარმოოს პარტ. წევრებმა და ორგანიზაციებმა სათანადო პარტორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ხოლო როცა კომინტერნის კონგრესი, ან სათანადო პარტ-ორგანიზაციები გამოიტანენ გადაწყვეტილებას, დისკუსიის წარმოება არ შეიძლება.

## ფაშიზმის ქვეყანაში.

### დეპუტატ მატეოტის მოკვლის გარშემო.

#### ვინ იყო მატეოტი?

იტალიის პარლამენტის სოციალ რეფორმისტების ფრაქციის მდივანი მატეოტი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც გაბედულად ილაშქრებდა პარლამენტში ფაშისტების წინაალმდეგ.

#### კიდევ მუქარა.

მუსოლინმა პალატაში განაცხადა აღშფოთება მატეოტის მკვლელობის შესახებ და აღნიშნა, რომ მთავრობამ მიიღო ზომები საქმის გამოსაძიებლათ. მან ხაზგასმით სთქვა, რომ თუ ოპოზიცია ისარგებლებს ამ შემთხვევით და დაიწყებს პოლიტიკურ სპეკულიაციას, იმ შემთხვევაში მთავრობა მიიღებს ზომებს რათა თავი დაიცვას მსგავსი განზრახვებისაგან.

#### შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთა გადადგომა.

იტალიის ოპოზიციონურ პრესის კამპანიის გამო, რომელიც ბრალს სდებდა მუსოლინის მთავრობის ზოგიერთ წევრებს მატეოტის მკვლელობის ნიადაგის მომზადებაში, გადადგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანი, პრესის ბიუროს უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩეზარე როსსი. მუსოლინის უხუცეს თანამშრომელთა გადადგომამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ წრეებში.

#### გვამი ვერ იპოვნეს.

მატეოტის გვამი დღემდისაც ვერ იპოვნეს. დაპატიმრებულია 18 კაცი, მათ შორის ფაშისტური ორგანოს „კორიერე იტალიანოს" გამომცემელი ფილიპპო ფილიპპელლი.

დაჭერილია აგრეთვე გაზეთ „ტემპოს" ყოფილი რედაქტორი ნალდი.

#### საპროტესტო მიტინგები ფაშისტური ვერაგობის წინაალმდეგ.

იტალიის ყველა ქალაქებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები მატეოტის მოკვლის წინაალმდეგ.

რომის საზოგადოებრივი აზრი თანდათან რწმუნდება იმაში, რომ ფაშიზმის დღეები უკვე დათვლილია.

# ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ

საფრანგეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობა შემდეგია: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი—ერიო, იუსტიციის მინისტრი—რენუ, შინაგან საქმეთა მინისტრი—შოტანი, ფინანსთა—კლემანტე, სამხედრო—ნოლლე, ზღვათა—დიუმენილი, ვაჭრობის—რეინალდო, საზოგადოებრივ მუშაობის—პეტრალი, სახალხო განათლების - ფრანსუა ალბერტი, შრომის და ჯანმრთელობის—გოდარი, კოლონიების—დელადიე, მიწადმოქმედების—კენილი, პენსიათა—ლაპიერი, განთავისუფლებულ ოლქების მინისტრი—დომიე.

დანიშნულია მინისტრთა 4 ამხანაგი: რობერტი—ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ამხანაგი, მეიერი—სავაჭრო ნაოსნობის, ეინაკი—ავიაციის, დჟიაფერი—ტეხნიკურ განათლების.

## როგორ მოხდა ეს.

პრეზიდენტის არჩევნების დროს დუმერგმა მიიღო მრავალი ხმა სენატორებისაგან, რომლებმაც ხმა მისცეს მას, როგორც სენატის თავმჯდომარეს. რაულ პორეს უარის შემდეგ კანდიდატურის წამოყენებაზე, დუმერგს ხმა მისცა ყველა მემარჯვენეებმა. დუმერგმა განაცხადა, რომ ის დარჩება ერთგული რადიკალურ პოლიტიკისა და იმოქმედებს უკანასკნელ არჩევნების გეზით.

ერიომ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება—რომ ის არ მიიღებდა თანამდებობას პენლევეს კონკურენტებისაგან. მან განაცხადა, რომ არ შეიძლება ძალაუფლება დატოვებულ იქნას ბრიანის ხელში, ვინაიდან ეს სახელს შეუბღალავს მემარცხენე ბლოკის გამარჯვებას.

სინამდვილეში კი, მემარცხენეები დუმერგის არჩევის შემდეგ სერიოზულად დამარცხდენ, მაგრამ ამომრჩევლების იმედები რომ არ გაეცრუებიათ, იძულებული გახდნენ აეღოთ ხელში ძალაუფლება.

## ᲓᲣᲛᲔᲠᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ.

დუმერგის უარმა პრეზიდენტის კანდიდატურაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან პენლევეს არჩევაში ეჭვი არ შედიოდათ.

დუმერგის არჩევას თავისთავად მოყვება პუანკარეს თავმჯდომარეობაზე გადასვლა სენატში, როგორც უფროსი ვიცე—თავმჯდომარისა. ამ რიგად, მიუხედავად მემარცხენეთა გამარჯვებისა არჩევნებში, ორი უმთავრესი პოსტი ასე თუ ისე ხელში ჩაუვარდება ნაციონალურ ბლოკს.

მემარჯვენე პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გამარჯვებულთა შორის უკვე დაიწყო განხეთქილება და დუმერგის არჩევას სთვლის პუანკარეს გამარჯვებად, რომელიც აწარმოებდა დუმერგის სასარგებლო კამპანიას.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ (ᲙᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘ.)

საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ წამოაყენა პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფილ კომუნარის, კამელინის კანდიდატურა.

13 ივნისს საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო გრანდიოზული მიტინგი ვერსალში პრეზიდენტის არჩევნების, მუშათა და გლეხთა ბლოკის, საყოველთაო ამნისტიის, რურის ოკუპაციის და ექსპერტთა პროექტის საკითხების შესახებ.

## „ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲐᲜ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔ“?

დუმერგის არჩევას მხურვალე ტაშით შეხვდა კრების როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარე. კომუნისტები ირონიულად მიუთითებდენ რადიკალებს მემარჯვენეთ მონაწილეობაზე ოვაციაში და გაიძახოდენ: „ამნისტია“. ცენტრის დეპუტატები მარსელიოზას მღეროდენ: სოციალისტები და კომუნისტები-ინტერნაციონალს.

## ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲛᲝᲢᲧᲣᲕᲓᲘᲚᲓᲜᲔᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲨᲘ.

საფრანგეთის კომპარტიის სეკრეტარიატი იუწყება, რომ ამ უკანასკნელ დღეებში მას მოდის მრავალი განცხადებები კომპარტიაში შესვლის შესახებ, ის აქვეყნებს ერთ სოციალისტ მუშის წერილს: რომ ის მოსტყვილდა სოციალისტების და რადიკალების კავშირში და მოითხოვს მიიღონ კომპარტიაში. ბოლოს მუშა დასძენს, რომ ყოფილი მოქალაქის მოვალეობაა—დასტოვოს მეორე ინტერნაციონალის რიგები. ეს საგულისხმოა ყოველი სოციალისტ მუშისათვის.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

## ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢ-ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

### ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢ-ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

გაიხსნა კომუნისტ-კოოპერატორთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია. ამხ. მეშჩერიაკოვმა კომუნისტ-კოოპერატორების ამოცანების შესახებ აღნიშნა, რომ პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას შეუძლია გადასჭრას მათ წინაშე მდგარი ამოცანები ყველა ქვეყნების მტკიცედ შეკავშირებული მუშაობის გზით. ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბრძოლაში გამარჯვებისთვის საჭიროა კოოპერაციის საერთაშორისო გაერთიანება მაგრამ კოოპერაციის ძველი მეთაურები, რომლებიც იმყოფებიან ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ, ამისათვის სავარგისი ვერ არიან.

ამ საქმის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ კომუნისტ-კოოპერატორებს. კოოპერაცია უნდა გამოვიყენოთ, როგორც საშუალება გლეხთა მომხრობისთვის ბურჟუაზიის, მილიტარიზმის და ახალი ომის საფრთხის საწინააღმდეგოდ.

კომუნისტ-კოოპერატორებმა უნდა აწარმოონ ენერგიული აგიტაცია, რათა საერთაშორისო კოოპერაციის კავშირმა ითავოს საერთაშორისო კონგრესის მოწვევა მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობით, სადაც უნდა გამომუშავდეს ენერგიული ზომები ომის საწინააღმდეგოდ. იმავე კავშირმა უნდა აწარმოოს აგიტაცია ს. ს. რკ-ს ცნობის სასარგებლოდ და საბჭოთა კავშირთან საკოოპერაციო ურთიერთობის დასამყარებლად.

### ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

საფრანგეთის წარმომადგენელი მარანი შეეხო პროფორგანიზაციებისა და კოოპერაციის ურთიერთობის საკითხებს და აღნიშნა, რომ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალისტები გაერთიანდნენ რათა გაატარონ ექსპერტთა კომისიის მოხსენება და გააუარესონ დასავლეთ ევროპის მუშათა მდგომარეობა. ამ ქვეყნების პროლეტარიატი უნდა გაერთიანდეს ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ხელთ ჩაიგდოს ძალა-უფლება და დაიკავონ ბურჟუაზიულ ტეხნიკების, მომარაგებისა და წარმოებათა ორგანიზაციების ადგილები.

### ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ.

იაკუტების ცაკმა შემოიღო იაკუტების ენა სახელმწიფო ენად იაკუტების ოლქში.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში იაკუტების ენა იხმარება თანაბრად რუსულისა. იაკუტების ოლქის ყველა სკოლებში შემოღებულია იაკუტების ენის სავალდებულო სწავლა.

### ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ.

16 ივნისს საზეიმო პირობებში მოხთა სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტის დასრულებულ 415 სვერდლოველთა პირველი საზეიმო გამოშვება.

### ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ.

ნარკომფინის კოლეგიამ სრულიად საკავშირო თათბირი დანიშნა 25 ივნისისათვის. 194 ადგილებიდან ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს 70 ადგილი დაეთმო.

### ᲙᲔᲠᲫᲝ ᲕᲐᲭᲐᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲙᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ.

ვიტებსკში კოოპერაციის ნაყოფიერ მუშაობის შედეგად მოყვა კერძო დუქანის დაკეტვა.

ირკუტსკიდან მოსულ ცნობებით იქ კერძო საბითუმო ვაჭრობის ლიკვიდაცია მოხდა, მაზრებში კერძო ვაჭრების დიდი უმრავლესობა იხურება.

## ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ „ᲓᲝᲑᲠᲝᲥᲘᲛᲘ“.

გაიმართა სრულიად უკრაინის „დობროქიმის“ დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრნენ ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სამხედრო სამმართველოდან, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებიდან და „დობროქიმის“ უჯრედებიდან. დამტკიცებულ იქნა საზოგადოების წესდება. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ჩუბარი. მოადგილეებად ამხ. ზატონსკი, ეგოროვი და ტიმოფეევი.

# Რ Ი Გ Ი  Ჩ Ვ Ე Ნ Ზ Ე Ა.

ამ დღეებში ჩვენს დივიზიაში დაიწყება კომპანია რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების „რემედასს“-ის სასარგებლოდ. ეს კომპანია უნდა ჩატარებულიყო ა. წ. მარტის თვეში ვინაიდან ამ საზოგადოების დღეთ გამოცხადებულია 18 მარტი ე. ი. პარიზის კომუნის დღე. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, როგორიც იყო უკადო შვებულებაში წითელ-არმიელების სამსახური, მათი დემობილიზაცია და სხვა კამპანია ჩვენს დივიზიაში, ვერ ჩატარდა. ამ ჟამად ჩატარებულ კომპანიამ საპროქალაქო ორგანიზაციებში დიდი ნაყოფი გამოიღო და არ დარჩენილა არც ერთი კერძო ან სახელმწ. წარმოება თუ დაწესებულება ან რომელიმე სოფელი, რომ არ გამოხმაურებოდა მას და არ გამხდარიყო ამ საზოგადოების წევრი. ამ ჟამად, როდესაც დივიზიის ყველა ნაწილები უკვე შევსებულია ახალგაზრდა წითელი მოლაშქრეებით, აუცილებელია ამ საქმემ უნდა მიიქციოს ყველა წითელი არმიელების, უფროსთა და პოლიტიკურ შემადგენლობის ყურადღება.

თუ რა დიდი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს ამ საზოგადოებას ყველა ქვეყნის რევოლიუციონერთა მატერიალურ დახმარების საქმეში, ეს ყველასათვის ცხადია იმდენად, რამდენადაც თითეულმა ჩვენგანმა კარგათ იცის, თუ როგორ სივიწროვეს განიცდიან ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშები, რომლებსაც მეტად ძნელ და რთულ პირობებში უხდებათ ბრძოლის წარმოება კაპიტალის წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა რომ „რემედასის“ არსებობას როგორც ჩვენში ისე სხვა ქვეყნებში არ აქვს დიდი ხნის ისტორია, მის ირგვლივ შემოკრბენ მილიონი მუშები და გლეხები, რომლებიც თავიანთ წვლილის გაღებით უზრუნველყოფენ ათასობით და ასი ათასობით ქუჩაში ბედის ანაბარა მყოფ რევოლიუციონერთა ოჯახებს.

დღეს არ არის არც ერთი სახელმწიფო მთელ დედა მიწის ზურგზედ, სადაც არ იყოს „რემედასს“-ის ორგანიზაცია.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკები ხომ ერთიანად დაფარულია ამ საზოგადოებებით. ეს იმის მომასწავებელია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალს, რომელმაც მიიღო მეოთხე კონგრესზე ამ საზოგადოების მოწყობა საერთაშორისო მაშტაბით გამოეხმაურა მთელი ქვეყნის რევოლიუციონური მუშები.

### ᲪᲮᲐᲓᲘᲐ ᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲠᲩᲔᲗ ᲛᲐᲗ.

თითეული ჩვენგანის უწმინდესი ვალია ხელი შეუწყოს მებრძოლ რევოლიუციონერებს და მით დავაჩქაროთ პროლეტარული რევოლიუცია დასავლეთში. რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება ისახავს თავის მიზნად გაადვილებას თითეულ მებრძოლისათვის ამ მისიის შესრულება და ჩვენ ვალდებული ვართ განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ მისი რიგები.

არც ერთი წითელი ჯარის რიგებში მყოფი პირი არ უნდა დარჩეს ამ საზოგადოების გარეშე. ამით ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ თავის სოლიდარობას და სიყვარულს მუშათა კლასისადმი და იმ მუშებს და გლეხებს, რომლებიც წლობით იტანჯებიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ციხეებში გაუსკეცებს ენერგიას, მივსცემთ იმედს თავგანწირულ ბრძოლისათვის ბურჟუაზიის ბატონობის საბოლოო დასამარცხებლად.

ამხ. წითელ კომანდირებო, პოლიტ მომუშავენო, წითელ მოლაშქრენო, რიგი თქვენზეა!

ს. ბახტაძე




## ახალწვეულთა შეხვედრა მე-5-თე ლეგიონში.

ჩვენს ლეგიონში ყოველ დღიურათ დაიწყო ახალწვეულთა მოსვლა პატარა ეშელონებით. სადგურზე დანიშნულ დროს მათ ხვდებიან უფ.-პოლიტ-შემადგენლობა მუსიკით, რომლებიც მისასალმებელ სიტყვით მიმართავენ ახალ-წვეულებს, მოუწოდებენ მათ ერთგულ სამსახურზე—მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინაშე.

ახალწვეულები სიხარულით ეგებებიან მათ მისალმებას და შემდეგ აღფრთოვანებით—მუსიკით მიემურებიან წითელ ყაზარმისაკენ. გზაში ხან-გამოშვებით ისმის მათი მედგარი ხმა: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს წითელ არმიას"!

ახალ წითელ არმიელების სულიერი განწყობილება მაღალია ისე, როგორც არა დროს.

დაინტერესებულნი წითელი ყაზარმის ცხოვრებით, ისინი მიმართავენ დარჩენილ წითელ-არმიელებს და უფ.-პოლიტ შემადგენლობას სხვა და სხვა კითხვებით. უკანასკნელნი აკმაყოფილებენ მათ სათანადო პასუხით. უფ.-პოლიტ შემადგენლობა ყოველ საღამოს იმყოფება ახალწვეულებთან კარანტინში და უმართავს მათ სხვა და სხვა სათამაშოებს და გასართობებს; ხშირი სტუმარია ახალწვეულებისა აგრეთვე ლეგიონის მუსიკაც, რომლის მისვლა და ცეკვათამაშის დაწყება ერთია. დილაობით სწარმოებს პოლიტ მეცადინეობა, რომელსაც ახალ-წვეულნი დიდის დაწაფებით ეტანებიან.

საერთოდ რომელიმე მეთაურის, ან პოლიტ-მომუშავის მისვლა კარანტინში დიდ ყურადღებას იქცევს ახალ-წვეულებში; ახალმოსულს იმწამსვე გარს ერტყმიან და მოცვივა სხაპა-სხუპით სხვა და სხვა კითხვები მათი შემდეგ ყოფა-ცხოვრებაზე ხშირად მოჰკრავთ ხოლმე ყურს ასეთ ლაპარაკს: „ჩვენ სოფელში რომ წითელ არმიელები დაბრუნდნენ, იმდენათ იყვნენ შეგნებულნი და ნასწავლნი, რომ სამხედრო სამსახურში კი არა, ჩვენ გვეგონა სკოლაში ყოფილნო, და თუ ჩვენც ისეთივე ცოდნას მივიღებთ, მეტი არა გვინდა რა, სხვა ყოველგვარ სამსახურს გაუძლებთ". ჩვენმა ახალმა ძალებმა უკვე შეიგნეს წითელი ყაზარმის მნიშვნელობა და დანიშნულება. ეს არის ნაყოფი ჩვენი წარსული შრომისა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება, რადგანა ერთის მხრივ ეხლანდელი პირობები გაცილებით უფრო უკეთესია წინა წლეებზე, თანაც ახალი წითელ-არმიელები თავის განვითარებით მაღლა სდგანან წარსულ წლეების განვითარებაზე.

**ნ. მელიქიძე.**

## კულტ-შეფობისათვის მზადება.

ქ. მ. დ. საკავშირო ასეული საბანაკოდ ყოფნის დროს სოფელ № ში აპირებს ახლო მდებარე სოფლებზე კულტ-შეფობის აღებას. ამისათვის ის აქვე შეუდგა სამზადისს. მხედველობაში მისაღებია ის პირობები, რომელშიაც მათ მოუხდებათ მუშაობა. სოფელ №-ის ახლო მდებარე სოფლები მდიდარია. მისდევენ პურის და ვენახის დამუშავებას. უმეტესს შემთხვევაში კი, ხე-ტყის დამუშავებას აწარმოებენ, რითაც მდიდარია ეს რაიონი. მიუხედავათ სიმდიდრის აქაური სოფლელები სწავლა განათლების მხრივ ძრიელ ჩამორჩენილნი არიან. არ იციან რა არის კლუბი ან თეატრი, არ მოდის გაზეთი. საკავშირო ასეულის მუშაობა ამ მხრივ იქნება მიმართული. გამართონ სპეციალური მოხსენებები ამა თუ იმ გლეხისათვის საინტერესო სამეურნეო თემაზე. გამართონ უფასო წარმოდგენები, რაც ერთის მხრივ ანვითარებს გლეხობას, მეორეს მხრივ დიდ როლს ითამაშებს გლეხთა და წითელ არმიელთა დაახლოვების საქმეში. ამ მხრივ, ჩვენი საკავშირო ასეულს დიდი მუშაობა მოუწევს, რასაც ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ.

**სვირელი**

## პარტიული ცხოვრება.

### პარტიული მუშაობა ბანაკად ყოფნის დროს.

დაბა №-ში შესდგა გაერთიანებული პარტიული კრება კ. წ. დ. არმიის ყველა მესანგრეთა ნაწილებისა. დაესწრნენ ცალკე ნაწილების კომპარტიის და კომკავშირის წევრები.

მე-19 მესანგრე ათასეულიდან, ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულიდან, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის 1-ლ, მე-2-ე, მე 3ე, დივიზიების ცალკე მესანგრე ასეულები, სომხეთის და ადერბეიჯანის დივიზიებიდან.

კრება გახსნა მანაკის სამხკომმა ამხ. ცეპილოვმა რუსულ ენაზე, რის შემდეგ თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის სამხკომი ამხ. ჯავახოვი.

თავმჯდომარე რუსულ მოხსენებას სთარგმნიდა როგორც ქართულად აგრეთვე სომხურად და თათრულადაც, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა პარტიულ ამხანაგზე,

პირველ საკითხათ მოისმინეს ამხ. ცეპელოვის მოხსენება ბანაკად ყოფნის დროს კომუნისტების მოვალეობის შესახებ, რომელიც გადათარგმნილ იქნა ყველა ენაზე.

შემდეგ არჩეულ იქმნა ბიურო კოლექტივი, რომლის წევრებათაც ყველა ნაწილებიდან გაყვანილი იქმნა თითო ამხანაგი, მხოლოდ ქ. მ. დ. მესანგრეებიდან კი ორი ამხანაგი, ვინაიდგან მთელი მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერის ინტერესი მოითხოვს ქართული ენის მცოდნე ამხანაგებს.

დასასრულ დასახელებულ იქმნა კლუბის გამგეობისათვის კანდიდატები სადაც ქართველ მესანგრეებიდან გაყვანილი იქნა ამხ. ლითანიშვილი. კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

**პლ.**

## რაზმედ ვეწერებ

### წიგნები გვაკლია.

სამხედრო პოლიტიკურ სკოლის დაარსების დღიდან ჩვენს სკოლაში დაარსდა წიგნთსაცავი. წიგნების უმეტესობა რუსულია. წიგნთსაცავში თუმცა მოდის ჟურნალ—გაზეთები, რომლითაც უფ. პოლიტშემადგენლობაც სარგებლობს, მაგრამ ვერც ესაა საკმარისად. ჩვენთვის წითელ—მეთაურთათვის, აუცილებელი საჭიროა რომ შევსძლოთ შემდეგ თავის ცოდნის გადაცემა, ლიტერატურულ ენის შესწავლა. ეს კი შესაძლებელია ლიტერატურულ ნაწარმოების კითხვით. ამ მხრივ კი ჩვენი წიგნთსაცავი დიდ დანაკლისს განიცდის. არ მოგვეპოვება ქართველ მწერლების ნაწარმოები. საჭიროა ამას მიექცეს პოლიტ-განყოფილების ყურადღება.

ჩვენი სამკითხველო შევსებული უნდა იქნეს ეგნატე ნინოშვილის, ყაზბეგის, ბარათაშვილის, აკაკის და გიორგი წერეთლების ნაწარმოებით.

**ჯიხაიშვილი.**

## როგორ უნდა დავიწყოთ სანიტარულ საგანმანათლებლო მუშაობა ტერ-დივიზიებში.

სამოქალაქო ომის წლეებში, როდესაც ტილიანი სახადი მუსრს ავლებდა წითელ-არმიის რიგებს, როდესაც ჩვენი აზრი და ენერგია მიქცეული იყო მხოლოდ რევოლიუციის დაცვისაკენ, დრო არ იყო მშვიდობიან მუშაობისათვის, არც სანიტარულ მეტოდიურ აღზრდისათვის. ჩვენ მაშინ ვეწყოდით სანიტარულ აგიტაციას, ჩვენ ვისროდით სანიტარულ ლოზუნგებს და მოწოდებებს. ეხლა, მშვიდობიან პირობებში, ჩვენ აგიტაციიდან გადავედით მშვიდობიან წყნიერ მეცადინეობაზე, კერძოდ კი სანიტარიაშიკ.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში ტერ-არმიელის მიმართ? ერთ მხრივ ცოტა დრო გვაქვს ხანგრძლივ სწავლებისათვის და მეორე მხრივ ტერ-არმიელთა შემადგენლობა ცოტა ხნით არიან არმიის რიგებში, მათ და და სოფელ შორის არსებული მჭიდრო კავშირი არ წყდება არმიაში გაწვევით.

როგორ უნდა დავიწყოთ ამ პირობებში მუშაობა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი სანიტარული აღმზრდელობითი მუშაობა უეჭველად უნდა სწარმოებდეს პოლიტ-შემადგენლობასთან სრულ კონტაკტში და უნდა გამოვიყენოთ წინეთ შეძენილი ამ მხრივ გამოცდილება.

ჩვენი ამოცანა არ უნდა გავართულოთ მით, ახალ გაწვეულებში ჩვენი სიტყვები არ უნდა იწვევდეს გაოცებას და იჭვიანობას. ჩვენ ვისახავთ იდეალური ჰიგიენური პირობების შექმნას, ყაზარმაც გვინდა შევქმნათ იდეალური, მივსცეთ ნოყიერი საჭმელი, რასაც უმეტეს შემთხვევაში ვერ ვასრულებთ, რადგან ცუდ ჰაერით ვსუნთქავთ, უვარგის ფეხსაცმელს ვატარებთ, ერთი სიტყვით არ ვასრულებთ ყოველივე იმას, რასაც მოითხოვს ჰიგიენა, რომელთა შესახებ ჩვენ ჩავსჩიჩინებთ სანიტ განმანათლებელ ლექციებზე, აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალია, ესაა, რამდენად შესაძლებელია ახლო მივიდეთ იმასთან, რითაც პირველ რიგში დაინტერესებულია წითელ-არმიელი, მისი სოფლის საჭიროებასთან, მისი კერძო ყოფა ცხოვრებასთან.

თუ ტერ-არმიელი კახეთიდან ან სამეგრელოდანაა, ცხადია, მაშინ ჩვენ მას მალიარიას, ჭაობების გაშრობაზე,—კოღოების შესახებ დაუწყებთ ლაპარაკს.

კოღოდან შესაძლებელია გადავიდეთ სხვა მწერებზე და სხვა და სხვა ავადმყოფობაზე.

გარდა ამისა, ყოველივე სოფელს აქვს განსაკუთრებული თვისებები. განსაკუთრებით ეს შეეხება საქართველოს, სადაც მთიულეთის და ბარის მცხოვრებს სულ სხვა და სხვა თვისებები და მოთხოვნილება აქვთ. უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ ამას უნდა გაეცნოს ყველა და აქედან სათანადო სარგებლობა გამოიღონ. პირველად ერთი ამის შესახებ მოწოდებას, შემდეგ მეორეს შესახებ გამოუშვებთ, და დაინახავთ რომ ეს გამოიღებს თავის ნაყოფს. აუცილებელია, ყოველგვარ ზომებით და სანიტარულ ცნობებით, როგორც ახლო მდგომ ადამიანის ცხოვრებასთან, შესწავლა მუშაობის და შედეგების იმ ნაწილის, სადაც მოგვიხდება მუშაობა. მხოლოდ ასეთ წინასწარ გაცნობა და პირადი დაინტერესებაა თავდები ჩვენი სანიტარულ აღმზრდელობის ნაყოფიერებისა.

**კალოდიზნერი.**

## ახალი ამბები.

— **ამხ. ლუნაჩარსკი ტფილისში.** 16 ივნისს, ამხ. ლუნაჩარსკიმ ინახულა სახ. უნივერსიტეტი, რამოდენიმე შრომის სკოლა, რკინის გზის სკოლები და დღის 3 საათზე გაემგზავრა ბორჯომში.

— **ლტოლვილები.** მაისის განმავლობაში ტფილისში ჩამოვიდა და აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 758 ახალი ლტოლვილი.

— **მილიციის შემადგენლობა ეროვნების მიხედვით.** ტფილისის მაზრის მილიცია ეროვნების და მიხედვით შემდეგნაირი შემადგენლობისაა: ქართველები 758, სომხები—200, რუსები—70, თათრები—20 და სხვები 18.

— **სტუდენტების კონფერენცია.** 15 ივნისს გაიხსნა ტფილისის სტუდენტების საქალაქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ამხანაგი ლუნაჩარსკი.

— **გლეხკომების მაღაზია სენაკში.** ქ. სენაკში სამაზრო გლეხკომს გადაეცა დარაბა უნივერსალურ მაღაზიის მოსაწყობათ.

— **ეკლესია სკოლათ.** თელავის მაზრის სოფ. თელეთის მცხოვრებთა დადგენილებით დაანგრიეს ადგილობრივი ეკლესია. მასალა მოხმარდება სკოლას.

— **რადიოს საწერი მანქანები.** ფ.-ტ. კომ. დადგენილებით ყველა რადიო-სადგურებზე ახლო მომავლიდან შემოღებული იქნება რადიოს საწერი სპეციალური მანქანები.

— **ბოროტმოქმედებათა რაოდენობა.** მაისის განმავლობაში აღრიცხულია 133 ქურდობა, 21 ჯიბგირობა, 2 მკვლელობა, 1 ძარცვა, 1 გაუპატიურება, 7 თვითმკვლელობა, 2 ყალბი ფულების დამხადება და გასაღება.

— **წყალში გადავარდნა.** 12 ივნისს ვარანცოვის ხიდიდან გადავარდა და დაიხრჩო მოქ. ტერ-გულიანცი.

— **გვამის პოვნა.** 13 ივნისს მადათოვის კუნძულზე იპოვნეს უცნობი კაცის გვამი.

— **ახალი მფრინავები.** ა. კ. საავიაციო საზოგადოების ინიციატი-

ვით, სპეციალურათ მოწვეული იუნკერსის ცნობილი მფრინავი აძზადებს 4 ავიატორს და 3 მექანიკს, რომელთა გამოშვებაც მოხდება ერთ თვეში.

— **წესრიგის დამრღვევ პირთა დაპატიმრება.** მუშათა და გლეხთა მილიციამ საზოგადოებრივ მყუდროების დარღვევისათვის მაისის განმავლობაში დაპატიმრა 186 პირი

---

# ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

## ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲘᲗᲚᲔ (ᲥᲚᲝᲠᲝᲖᲘ).

იმ ადგილებში სადაც იცის ნესტიანი ამინდები და ნიადაგი მძიმე კირნარია ვაზს უჩნდება ერთნაირი ავადმყოფობა სიყვითლე რომელსაც უწოდებენ ქლოროზს. ჩვენში ასეთი ვაზის დაავადება უფრო მატულობს წვიმიან დღეებში, მაგრამ როგორც დადგება კარგი ამინდი ვაზს სიყვითლე გაუვლის და მისი ფოთლები ისევ იღებენ მწვანე ფერს ასეთი არის ჩვენებური ვაზის თვისება. მაგრამ სულ სხვა არის დამყნილი ვაზი. როგორც ვიცით არის ვაზი დამყნილი ამერიკული ვაზის ძირზე. ამერიკულ ვაზს კირიან ნიადაგში უჩნდება ქლოროზი. ჩვენში ბევრია კირნარი ადგილები, მაგალითად რაჭაში, ლეჩხუმში და ზოგიერთ სოფლებში შორაპნის მაზრისა. ამ რაიონებში დამყნილი ვენახი ხშირად ყვითლდება. ვაზის სიყვითლის ერთად-ერთი მიზეზი არის, როდესაც ნიადაგის შემადგენლობაში არის კირი. უკანასკნელ შემთხვევაში როდესაც ჩვენ გვაქვს ცხლად დარგული ვაზები კირნარ ნიადაგში ის პირველი სამი ოთხი წელიწადი ყვითლდება და ეს ავადმყოფობა ერევა მას ვაზს. ყვითლდება ფოთლები. თვით ყლორტი წვრილდება. ნაყოფი გამოდის უვარგისი. ქლოროზის წინააღმდეგ ხმარობენ რკინის შაბიამანს. ამისათვის უნდა ავიღოთ ოცდა ათი გირვანქა რკინის შაბიამანი და გავხსნათ სამ ვედრო წყალში და როდესაც ვაზს ვსხლავთ გადანაჭერ ადგილებზე საჭიროა ჩოთქით წავუსოთ ასეთი სითხე. რკინის შაბიამანი უნდა წავუცხოთ აგრეთვე ვაზს ტანზე ზამთარში მხოლოდ იმ ადგილებზე რომელსაც ვაზს გასხვლის დროს უტოვებენ ვენახის დაბარვის დროს უნდა გამოვბაროთ ვაზის ძირები და შიგ ჩავასხათ რკინის შაბიამანის სითხე. ამ წამლით სხურება შეიძლება იმავე მანქანით, რომლითაც ჩვენ ვასხურებთ ვენახს შაბიამანს. მხოლოდ რკინის შაბიამნის ნასხამი ქურქელი კარგათ გაურეცხელი არ უნდა ვიხმაროთ შაბიამანისათვის.

**ში.**

## ᲤᲣᲢᲙᲠᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ.

ფუტკრის ყრის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია სკის სივიწროვე. გაზაფხულზე ფუტკრის გამრავლების გამო სკაში სითბო მატულობს, ჰაერი ცუდათ სუფთავდება და ამის გამო ფუტკრებს ბინა არ ჰყოფნით. სკის სივიწროვე იმაში გამოიხატება რომ დედას არ ჰყოფნის უჯრედები კვერცხების ჩასადებათ და მუშა ფუტკრებს თაფლის მარაგის შესანახავათ. იმ სკებში, რომლის ფუტკრებიც ყრას აპირებენ, ყველა ფიჭები სავსეა ბარტყებით და კვერცხებით. ამასთან ზოგიერთი მეფუტკრეების აზრით ნაყრობის სურვილს ოჯახს უღვიძებს თუ სკაში ბევრი მამალი ფუტკრების ბარტყებია. ფუტკრის ყრა ყოველთვის არ არის ხელსაყრელი. მაგალითათ თუ მეფუტკრეს აინტერესებს ბევრი თაფლის მიღება, მაშინ ყრა მისთვის საზარალოა. ფუტკრის ოჯახს ბევრი ღონე ეხარჯება ნაყრის გამოშვებაზე და თაფლის შეგროვებას ვერ ასწრებს. ამიტომ ხშირათ ხელსაყრელია ნაყრობის შეჩერება.

ნაყრობის შესაჩერებლათ მეფუტკრეები სხვა და სხვა გვარ საშუალებებს მიმართავენ. ზოგიერთებს მიზან შეწონილათ მიაჩნიათ სკის ბუდის გაფართოება. ცნობილი მეფუტკრე ბერტრანის აზრით, საყრელათ გამზადებულ სკებში, სივიწროვის თავიდგან ასაცილებლათ მარტო ბუდის გაფართოება არ არის საკმარისი. საჭიროა გაფართოებულ ბუდეში ჩაიდგას ცარიელ ფიჭიანი ჩარჩოები. ბუდის გაფართოება თანდათანობით უნდა.

უხვ ღალიან წლებში ბუდეში უნდა ჩაუმატოთ უფრო მეტი ჩარჩოები და მათ შორის, რამოდენიმე ხელოვნური ფიჭიანი უნდა იყოს.

მეორე უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელიც ხელს უწყობს ფუტკრის ყრას გაზაფხულის კარგი ამინდები და კარგი ღალიანობაა. მაგრამ არც ძლიერ ღალიანი წელიწადია ხელსაყრელი ფუტკრის ყრისათვის. ძლიერ კარგი ღალა იტაცებს ფუტკრებს და ნაყრობას სრულებით ავიწყებს.

დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ ნაყრობის სურვილი სკას საშუალო ღალიანობის წლებში უფრო აქვს. განსაკუთრებით კი ნესტიან წლებში, როცა ფუტკარი ყოველთვის საკმაო საკვებს შოულობს. გვალვიანი და ნამეტანი წვიმიანი წელიწადი ხელს უშლის ნაყრობას. ზოგიერთ მეფუტკრეთა აზრით ნაყრობას იწვევს სკის სიძველე. ფუტკრებს არ სიამოვნობთ ძველ სკაში ცხოვრება. ისინი ახლისაკენ იწრაფვიან.

ნაყრობის სურვილს უღვიძებს ფუტკრის ოჯახს აგრეთვე ახალგაზრდა ფუტკრების დიდი რიცხვი სკაში. სხვა და სხვა ჯიშის ფუტკარმა ერთიანის სიუხვით არ იცის ყრა. ყველაზე უფრო მოყვარულია ყრის ჩვენებური კავკასიის ფუტკარი.

ხშირი ნაყრობა სჩვევია აგრეთვე უკრაინის ფუტკარს. ჩვეულებრივი რუხი და იტალიანური ფუტკრები უფრო ნაკლებს ეტანებიან ნაყრობას და ჩვენებურ ფუტკარზე ნაკლებს ნაყარს იძლევიან.

**მეურნე.**

---

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠ. ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ.

სალაშქრო მოძრაობაში მყოფ ჯარზედ მოწინააღმდეგეს შეუძლია მოახდინოს ქიმიური თავდასხმა ჰაეროპლანიდან ქიმიურ ყუმბარების ჩამოყრით ან ხარდალის აირის გადმოღვრით რაზმეულ წყობილებაში მიმავალ ჯარის თავზედ. ხარდალის აირით მოწამლულ გზებით რაზმეულთა მოძრაობის დროს ჯარი, თუ განსაკუთრებულ ტანისამოსით არაა დაცული, დიდ ზიანს მიიღებს. ამის და მიხედვით ქიმიურ მოგერიების სათანადო ზომები უნდა იქმნეს მიღებული. ლაშქრობისას ქიმიურ მოგერიების ზომებათ უნდა მიღებული იქმნას შემდეგი: რაზმეულთა მოძრაობას უნდა შეძლებისამებრ ღამით აწარმოებდენ; რაზმეულების დღისით მოძრაობისას ყოველივე ზომები უნდა იყოს მიღებული რაზმეულების შენიღბებისათვის; პირბადეები მუდამ მზად უნდა ჰქონდეთ ჩამოსაცმელად. რაზმეულის მეთაურ ნაწილებში ლეგიონის ქიმიურ გუნდიდან მუდამ ერთი ინსტრუქტორი უნდა იმყოფებოდეს, გზაზედ მოწამლულ ალაგების გამოსაცნობათ. იმ შემთხვევაში, როდესაც შემჩნეული იქნება, რომ მოწამლული ალაგი მეორე მისადევარშია, მაშინვე მიიღებენ ზომებს მის გასაწმენდათ, სანამ რაზმეულის მთავარი ძალა მიაღწევს ამ ადგილს. თუ გზის მისადევარში ფართე სივრცეა მოწამლული, მაშინ განსაზღვრიან მოწამვლის ზღუდეებს და გამონახავენ მოსავლელ გზებს რაზმეულის მოძრაობისათვის.

როდესაც რაზმეულს თავზედ ქიმიურ ყუმბარებს დააყრიან ჰაეროპლანებიდან, მაშინ უპირველეს ყოვლისა, ჯერ პირბადეებს გაიკეთებენ და შემდეგ ჯარი უნდა გზის აქეთ-იქით გაიფანტოს. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ჰაეროპლანების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები საკუთარი ჰაეროპლანებისა და საზენიტო ქვემეხების საქმეში ჩაბმით, თუ კი რაზმეულის განკარგულებაში ჰყავს ასეთები. მუდამ მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ მოწინააღმდეგეს საჰაერო ფლოტი ხარდალიან ბომბებს იხმარებს, რისთვისაც ჯარის ნაწილებმა ლაშქრობისას საზიდავებით უნდა ატარონ ქლორის კირის მარაგი.

დივიზიისა და ლეგიონების ქიმიის გამგენი, იმყოფებიან რა მთავარ ძალების რაზმეულთან, თავისდროულად გააფრთხილებენ თავიანთ ნაწილებს ქიმიურ ყუმბარებით სროლის დასაწყისს. ქიმიურ თავდასხმის დროს მიიღებენ აირის საწინააღმდეგო შესაფერის ზომებს; მოწამლულ ალაგებში უხელმძღვანელებენ აირისაგან გაწმენდას და მოაშყობენ აირისაგან მოწამლულ ხალხისა და ცხენების სათანადო დახმარებას.

უფროსთა შემადგენლობა მოვალეა ყოველგვარი ზომები იხმაროს მტრის საჰაერო ფლოტის საწინააღმდეგოთ, მას ქიმიურ თავდასხმისას, რისთვისაც ქიმიურ მოგერიების ყოველივე საშუალებანი უნდა გამოიყენოს.

ამასთან ნაწილებში ყველა ზომები უნდა მიღებული იყოს, რათა რაზმეულში პანიკას ადგილი არ ჰქონდეს.

**გ. ბ—შვილი.**

---

## Წ. ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜ. ᲓᲐᲠᲒᲘᲓᲐᲜ*)

აცრის უარყოფითი შედეგები, რომელთაც სხვა და სხვა ალაგას აქვს ადგილი, აიხსნება იმით, რომ ზოგი ვეტ-ექიმი დღემდის ებღაუჭება ლანგის ვაქცინას და მით სცრის საქონელს, რადგანაც ეშინიან მცხოვრებლებისადმი, ვითომდა, ზარალის მიყენებისა სატკივარის იმ გარეულებით, რომელთაც თან ახლავს ცენკოვსკის ვაქცინას; ნამდვილად კი მცხოვრებლებს არ ვაყენებთ იმოდენა ზარალს, რასაც თავის თავად ციმბირის წყლული აყენებს მათ, როდესაც ასაცრელ მასალად არ ვხმარობთ ცენკოვსკის ვაქცინას.

არ უნდა აიღოს კაცმა თავის-თავზე ბუნების საიდუმლოების ახსნა-განმარტება, თუ იგი თვით ბუნებამ არ დაასაჩუქრა „დაკვირვებითი უნარით", რადგანაც მიზნის ცოტაოდენ მიუღწევლობით და შეცდომებით იგი გამტყუნებს მეცნიერებას მაშინ, როდესაც ყოველივე ეს შედეგის მიუწდომლობა წარმოშობილია მისი მარჯვენის უვარგისობით და „გაგებრის" ცრუ მიმართულების გზით სიარულით. ამ ცრუ გზაზე სიარულით და ზოგიერთ ვეტ-ექიმების უვარგისი ხელებით აიხსნება ის კალაშქრება, რომელიც ეხება აცრას, რომელსაც ჩვენ მივმართავთ არა მარტო როცა ციმბირის წყლული თავს იჩენს (იძულებითი აცრა), არამედ, როცა ცხოველი ჯერ კიდევ საღია (თავდაცვის მიზნით აცრა ანუ წინასწარი აცრა).

წინასწარ—თავდაცვის აცრის მოწინააღმდეგენი საბუთების მოყვანაზე სრულებითაც არ ფიქრობენ და გინდ იფიქრონ კიდეც, ვერც იპოვნიან, რადგანაც ამ ხასიათის „აცრის" წინააღმდეგ სავეტერინარო მეცნიერებას არავითარი საბუთი არ აღმოუჩენია.

ასეთი ცრუ მეცნიერები ჰყავდა სახეში ერთს სწავლულს, როდესაც იგი ჰქმნიდა „ზრდილობის და სალი მსჯელობის" უზენაეს კანონებს, რომელთა პირველი მუხლი ამბობს: „თუ ვინმე ერთი მეცნიერების, არსებითად როგორიც უნდა იყოს იგი, სულ ერთია, მიმდევარი დაიწყებს ლანძღვას, დამცირებას, ან თავს ჰყოფვას, თავის მოძღვრების საწინააღმდეგო, მეცნიერებას, მაშინ იგი ვალდებულია, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგინოს სწორი, თვალნათელი დამტკიცება იმისი, რომ მან მართალა საბუთიანათ იცის საქმე და აღჭურვილია შესაფერისი მეცნიერული ცოდნით; და თუ ვერ წარმოადგენს, ან თავის მხრით გამოიჩენს უცოდინარობას და აშკარა უნიჭობას მეცნიერულ კითხვების გარჩევაში, მაშინ მის ლაყბობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ და თვითონ იგი **დაუნდობელ** სასაცილო აგდებას გადაეცით".

შენც ამხანაგო წითელ-არმიელო, დაიხსომე ეს კანონი და თუ ოდესმე შეგხვდეს „აცრის" მოწინააღმდეგე მოლაყბე შეუწყნარებლად აიგდეთ სასაცილოდ და სოფლიდან გამოაგდეთ, რადგანაც იგი თქვენი მტერია და არა მოკეთე.

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

*) იხ. „წ. ა." № 525.

---

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. ლეჟავას.** თქვენი წერილი —„საჭიროა ყურადღება", არ წავა. ნუ თუ ეს საკითხი ისე ვერ მოგვარდება, რომ არ იქმნეს გაზეთის ფურცლებზე გამოტანილი.

---


იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა წითელ ჯარში ახლად გაწვეულთათვის მეტად საინტერესო წიგნი (კრებული).

# ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ.

კრებულში მოთავსებულია საუბრები ყველა კითხვებზე, რომელიც კი აინტერესებს წითელ არმიელს, არის აგრეთვე რჩევა-დარიგება და მრავალი სხვა, რომელიც უნდა იცოდეს ყოველმა წითელ არმიელმა.

**გამოცემა: რ. ა. კ. კ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის.**


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.